

K 167968
3

მავლობელის სახელის გერანტის საგვარეულო
რეგისტრაციული დოკუმენტის სამართლებო



სამართლების პატიჟონის და პირის მოქმედის
ტექნიკობის

ସାହକରଣବ୍ୟାଲୋଟ ସାର ପ୍ରେସ୍‌ର ମାତ୍ରରେଣ୍ଟାର୍ଥ ସାଧୋଦିନରେ

ଅଭେଦିରଙ୍ଗାଳୀ ଏବଂ ତରଙ୍ଗବାନ୍ଦୀର ମହାଦୀରେ ସାହସାରଯେଣ୍ଟ

K167968

ମାତ୍ରରେଣ୍ଟାର୍ଥ ମହାଦୀରେ କାହାରଙ୍କିମୁକ୍ତି

ସାତିଶ୍ୱରଶିଳ ପାଥିଷାନରିଲ ଏବଂ ପିତରିଲ ମନ୍ଦିରରେ
କୋରନ୍ଦିଲାମା

(ଫରନେବିତି ମେତାଦ୍ୱାରା ମିଳିବାରେ)




635.63 : 631.544 + 635.64 : 631.544



1 შემოხატ გმირის ლიტერატურა

2 საფრანგ გმირის ლიტერატურა

ეგვიპტელი: აღ. სარალი



240 2018 143

შესავალი

უკანასკნელ დროს ჩესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა სამრეწ-
 ველო სათბურების მშენებლობა. მწყობრში ჩადგა გორის, კრწა-
 ნისისა და საგურამოს სასათბურე კომბინატები. მაღვე ექსპლუატა-
 ციაში შევა ხელვაჩაურის, გაგრის, ოხურეის, ჭიათურის და სხვა
 სასათბურე მეურნეობები. მშენებლობა სულ უფრო და უფრო
 ფართო ხასიათს ღებულობს. თანამედროვე სათბურების მშენებ-
 ლობის ასეთი ტემპი ბოსტნეულის მოვლა-მოყვანის თავისებურ
 სახელმძღვანელო ლიტერატურას მოითხოვს. ამ მხრივ ეს მეთო-
 დური მითითება პირველია, რომელიც შედგენილია ძირითადად სა-
 ქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუ-
 ტის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, ჯიშთა გა-
 მოცდის სახელმწიფო კომისიისა და ჩესპუბლიკის სასათბურე მე-
 ურნეობების გამოცდილებიდან, აგრეთვე, იმ რეკომენდაციებისა და
 მეთოდური მითითებების საფუძველზე, რომელიც გამოცემულია
 საკავშირო სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

სათბურავისათვის აღგილის შერჩევა

სათბურებისათვის უნდა შეირჩეს ქარებისაგან დაცული, კარ-
 გად განათებული აღვილი, რომელიც მოშორებული იქნება ჰაერის
 გამაჭუჭუყიანებელი ფაბრიკა-ქარხნებისაგან. ნაკვეთი არ უნდა იყოს
 დაჭაობებული და დამარილებული. თუ შერჩეულ ნაკვეთებზე ნია-
 დაგი კარგი ფიზიკური და ქიმიური თვისებებისაა, მაშინ აღგილზე
 მოხდება გრუნტის გაფულტურება სხვადასხვა კომპონენტების და-
 მატებით. უვარვისი ნიადაგის შემთხვევაში, მისი ზედა ფენა გაიტა-
 ნება ტერიტორიიდან და შის ნაცვლად შეიზიდება ხელოვნურად
 მომზადებული გრუნტი. ნადაგის ქვედა ფენა უმჯობესია იყოს
 კარგი. წყალგამტარი (სილნარი-ქვიშნარი), წინააღმდეგ შემთხვევა-
 ში საჭიროა სადრენაჟო ქსელის მოწყობა.

შერჩეული ადგილი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სარწყავი /
წყლით, რომლის მინერალიზაცია არ უნდა აღემატებოდეს უზრუნველყოფილ
გრამს ლიტრში. სარწყავ წყალში დაუშვებელია ფენოლებისა და
მცენარეების სხვა მომწამლავი ნივთიერებების არსებობა. ბაქტე-
რიული გაჭუჭყიანება დასაშვებია სასმელი წყლის ნორმის ფარგ-
ლებში.

სათაურის გრძელება

იმისდა მიხედვით, თუ გრუნტის კომპონენტების რა რესურ-
სები გააჩნია სასათბურე კომბინატს და როგორია მისი აგროეკო-
ნომიური მხარე, გრუნტის შედგენილობა და თითოეული კომპონენ-
ტის ოდენობა შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი. უკეთესია გრუნტი,
როცა მის შემადგენლობაში შედის 40% გადამწვარი ნაკელი, 40%
მიწა და 20% ტორფი ან ნახერხი. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს,
რომ დაცული გრუნტის ფართობის გადიდებასთან ერთად ძნელდე-
ბა ასეთი დიდი რაოდენობის ნაკელით მომარაგება. ამასთან მი-
წათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ, კრწა-
ნისის სასათბურე კომბინატში წარმოებული ცდებიდნ ირკვევა,
რომ კარგ შედეგს იძლევა 60% მიწის, 20% ნაკელის და 20% ტორ-
ფის ან ნახერხის ნარევი. თითქმის დამაკამაყოფილებელი შედეგია
მიღებული 60% მიწისა და 40% ტორფის ან 40% ნახერხის ნაზა-
ვის გამოყენებით.

ამ ბოლო დროს სათბურის გრუნტად იყენებენ 50% ტორფისა
და 50% ნახერხის ნაზავს (ა. იურინას მეთოდი). ასეთ გრუნტში
მხოლოდ ერთჯერ, ძირითადი განკუიერებისას, შეაქვთ საჭირო რაო-
დენობის მანერალური სასუქები მშრალი სახით. ასეთი გრუნტიდან
კვადრატულ მეტრზე იღებენ 30 კგ კიტრის და 15—16 კგ პამიღორის
მოსავალს.

ზოგან სათბურის გრუნტად გამოიყენება მარტო ტორფი ან მა-
რტო ნახერხი. ასეთ გრუნტში საჭირო რაოდენობით შეაქვთ მინე-
რალური სასუქები და ბოსტნეულის მაღალ მოსავალს ლებულობენ.

როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ ჩატარებული ცდებით
დაგვინდა, რომ, რაც მეტი რაოდენობით შედის ტორფის და ნა-
ხერხის კომპონენტები გრუნტში, მით უფრო მოკლეა მისი ექსპ-
ლუატაციის ვადა. პიტომ ზამთრის სათბურებში, საღაც გრუნტის
გამოცვლა 15—20 წლის განმავლობაში არ არის გათვალისწინე-
ბული, აღნიშნული კომპონენტები დასაშვებია მხოლოდ 50%-მდე-



მიწა. უმჯობესია კორდის ან შავმიწა ნიაღავის ზედა ფენა უძველესი მიწის დამზადება ან მიზიდვა დიდ დანახარჯებთან არ არის დაკავშირებული. გამოსაღევია აგრეთვე მინდვრის მიწაც, რომელიც უკანასკნელი 2—3 წლის განმავლობაში არ ყოფილა დაკავებული პირველ რიგში უნდა გამოიყენონ თავისივე ტერიტორიის მიწა, თუ კიტრისა ან პამიღორის კულტურით. სასათბურე მეურნეობებმა იგი ამისათვის ვარგა.

მიწის ქიმიური და ფიზიკური თვისებები შემოწმებული უნდა იყოს. დამლაშებული ან ძალიან მეავე რეაქციის, აგრეთვე მცენარესათვის მავნე ნივთიერებების შემცველი მიწა სათბურის გრუნტისათვის უვარესია.

ნაკელი. უმჯობესია გადამწვარი, უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენება ნახევრად გადამწვარიც. სათბურის გრუნტში ნაკელის პროცენტული შემადგენლობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ნახერხის ან ნაჭის რაოდენობა, რომელიც ფერმაში საგნების სახით ერევა ნაკელს.

ტორფი. სათბურში გამოიყენება ყველა სახის (ქვედა, გარდამავალი, ზედა), ფრეზირებული ტორფი, რომელთა დაშლილობა (მინერალიზაცია) შეადგენს 10—15%, ხოლო ნაცრის შემცველობა 5,5%-მდე, მასში ირგანული ნივთიერება საჭიროა იყოს სულ ცოტა 50%. ასეთი ტორფის ტენტევადობა უნდა შეადგენდეს 80%, PH-5.8—6.5. ის არ უნდა შეიცავდეს ალუმინის, მარგანეცის და რკანის ქვეუანგის მოძრავ ფორმებს.

ნახერხი. უმჯობესია წიწვოვანი ხის ნახერხი. სათბურის გრუნტში შერევის წინ საჭიროა მისი დეზინფექცია ცხელი ორთქლით (იხ. გრუნტის დეზინფექცია) მავნებლებ-დავადების განადგურებისა და ფისების და მთრიმლავი ნივთიერებების მოშორებისათვის.

ზემოთ აღნიშნული კომპონენტები სათბურის გრუნტს შეერევა სპეციალური მანქანით ან ექსკავატორით და აგროქიმიური ანალიზს საფუძველზე მ³-ზე დაემატება მინერალური სასუქები მესამე ცხრილის მიხედვით ისე, რომ ცხრილში მოცემული სასუქის დოზები, რომელიც გაანგარიშებულია 30—35 სმ სისქის გრუნტის ყოველი კვადრატული მეტრისათვის, აღებული იქნეს სამზერ მეტი.

გრუნტის ნაზავი იყრება გროვებად და ყოველთვიურად მანქანებით ირევა ერთმანეთში და ასე გრძელდება სულ ცოტა ექვ-სი თვე. ამის შემდეგ გრუნტი შეიტანება სათბურში ტ—16 მარკის



ტრაქტორით და იყრება 30—35 სმ სისქით, იდეალურად მონაცემები რებულ საღრენაჟო ფენაზე. ღაუშვებელია, საღრენაჟო ფენას უსწორმასწორო ზედაპირზე გრუნტის დაყრა ან კიდევ გრუნტის ფენის შემცირება. ეს იშვევს ღრენაჟის მასალის შერევას გრუნტშა, მოხვნისა და ფრეზირების დროს.

ექსპლუატაციის პერიოდში დიდი ურადლება უნდა მიექცეს გრუნტის ფიზიკურ თვისებებს. გრუნტი კარგია, როცა მისი მოცულობითი წონა $0,4-0,9 \text{ g/cm}^3$ -ია, ხელრითი წონა $1,5-1,8 \text{ g}$ საერთო ფორიანობა $45-56\%$, თუ გრუნტი მძიმე შედგენილობისაა, საჭიროა შეერთოს ნახერხი.

გრუნტის დამუშავება

სათბურის გრუნტი მორწყვისა და ზედ სიარულის გამო, ვეგეტაციის ბოლოსათვის მინიშვნელოვნად მკვრიყდება. ამიტომ დამუშავება გრუნტის სისქეზე დამოკიდებით ღრმად უნდა ჩატარდეს, მაგრამ საღრენაჟო ფენას არ უნდა შეეხოს.

გრუნტი პირველად საჭიროა დამუშავდეს სათბურის სპეციალური გუთნით ან როტაციული „როტასპის“-ს საშუალებით, ხოლო დარგვის წინ, ფრეზერით. ესენი ებმება, როგორც საზღვარგარეთის (ეიხერი), ისე სამამულო წარმოების (ტ—54 ვ) სათბურების ტრაქტორებზე.

ჯიში, თასლი და მისი მომზადება

სასაბურე მეურნეობისათვის კიტრის კიშებიდან დარაიონებულია ტეპლიჩნი — 40 (F_1), ხოლო პამიდორის — პრევასხოდნი 176.

კრწანისის სასათბურე კომბინატის გამოცდილებით, კულტურის ერთ ბრუნვაში (გარდამავალი), კარგ შედეგს იძლევა კიტრის პართენკარპიული (პოლანდიური) პიბრიდები: სპორუ და ტოსკა. ხოლო პამიდორის — რევერმუნი (F_1). ეს პიბრიდები ჩვენი რესპუბლიკისათვის აგრეთვე რეკომენდებულია საკავშირო სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

როგორც კიტრის, ისე პამიდორის თესლი საჭიროა დახარისხდეს ხეედრითი წონის მიხედვით. ამისათვის უნდა ჩაიყაროს 5% სუფრის მარილის ან ამონიუმის გვარჯილის ხსნარში, ნახევარი საათის განმავლობაში. დასათესად ვარგისია მხოლოდ ხსნარში ჩაძირული თესლები, რომელიც კარგად უნდა გაირეცხოს სუფთა წყლით და გაშრეს.

ვირუსოვანი დაავადების საწინაღმდეგოდ კიტრისა და პრიზ-
დორის შრალი თესლი ორი-სამი დღე-ღამის გამოვლობაში უძრავია
გამურდეს $55-52^{\circ}$, ხოლო მომდევნო ერთ დღე ღამეს — $76-78^{\circ}$.

თესვის დაწყებამდე, საჭიროა თესლის შეწამვლა ტმდტ პრე-
პარატით (4 გ ერთ კგ თესლზე).

თესვამდე 10—12 სათის განმავლობაში თესლი უნდა დასველ-
დეს მიკროსასუქების ხსნარში და გაშრობის შემდეგ დაითესოს. ამ-
ისათვის ერთ ლიტრ წყალში გაიხსნება 100—100 მლგ სპილენის
შაბიამანი, ბორის სიმეავე, გოგირდმუავა მარგანეცი და გოგირდ-
მუავა თუთია, აგრეთვე 20 მლგ მოლიბდენმუავა ამონიუმი.

სათბურებში კიტრისა და პამიდორის თესვა-რგვის საორიენტა-
ციონ ვალები იხილე I ცხრილში.

ცხრილი 1

სათბურებში თესვა-რგვის საორიენტაციო ვალები

კულტურათა ბრუნვა	კიტრი		პამიდორი	
	თესვა	რგვა	თესვა	რგვა
ზამთარ-გაზაფხულის შემოღვევაში-ზამთრის	1/I—10/I 20/VII— —30/VIII	1/II—10/II 20/X— —30/IX	10/XI—20/XI —20/VII	1/I—10/I 20/VIII— —30/VIII
გარდამავალი	10/X— —20/X	10/X—20 X	20/VIII— —30/VIII	1/X—10/X

ერთ შეურნეობაში პართენიურპიული და დამამტვერიანებე-
ლი ჯიშების და ჰიბრიდების ერთდროულად თესვა დაუშვებელია.

ჩითილის გამოყვანა

კიტრისა და პამიდორის ჩითილი გამოყავთ სათბურის საჩითი-
ლე განყოფილებაში (რომელიც მთელი ფართობის $8-10\%$ -ია).
თესლს თესვენ 8×8 სმ ზომის საკვებ კუბურებში ან $8-10$ სმ
დიამეტრის ქოთხებში. საკვები კუბურების დასამზადებლად გამოი-
ყენება შემდეგი ნაზავი:

1. ტორფი 60%, კორდის ან მინდვრის მიწა 10%, ნეშომპალა 20%, ახალი ნაკელი (რქოსანი პირუტყვის) — 10%;
2. ტორფი 70%, ახალი ნაკელი 7%, ნახერხი 23%;
3. ზედა ტორფი 90%, ახალი ნაკელი 10%;
4. კორდის ან მინდვრის მიწა 50%, ნეშომპალა 50%;



5. ნეშომპალა 45%, ახალი ნაკელი 10% და ნახერხი 45%. უოველ კუბურმეტრ ნაზავში შეტანილი უნდა იქნეს:

1 და 4 ნაზავში — ამონიუმის გვარჯილა 0,6—0,8 კგ, სუპერ-ფოსფატი — 1—1,5 კგ, გოგირდმჟავა კალიუმი ან კალიუმქლორი — 0,8 კგ და გოგირდმჟავა მაგნიუმი — 0,3 კგ.

მე-5 ნაზავში შეიტანება ის, რაც 1 და 4 ნაზავში, მხოლოდ ამონიუმის გვარჯილის დოზა გადიდდება ორჯერ.

მე-2 ნაზავში ამონიუმის გვარჯილა 0,6 კგ, სუპერფოსფატი 8,0 კგ, გოგირდმჟავა კალიუმი ან კალიუმქლორი 1,0 კგ და გო-გირდმჟავა მაგნიუმი 0,3 კგ.

მე-3 ნაზავში შეიტანება შესაბამისად 0,8—4,0—1,0—0,3 კგ სასუქი. ნაზავის ცალკეული კომპონენტი საჭიროა გატარდეს ცხაკ-ში და შემდეგ შეერთოს ერთმანეთს. ახალი ნაკელი უნდა გაიხსნას თბილ ან ცხელ წყალში და დაესხას ნაზავს. კომპონენტების კარგად და მოკლე დროში შეჩევის მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბეტონის სარევი. ერთი კუბური მეტრი ნაზავის მოსამზადებლად საჭიროა 50—70 ლიტრი წყალი.

საკედი კუბურების დამზადება შეიძლება: რგს-16, რგს-25, რგს-36, იგ-9 მ და სხვა მარკის დაზგებით. დიდი წარმადობა აქვს რგ-9 მ მარკის დაზგას, მას ემსახურება 7 მუშა და საათში იძლევა 8×8 სმ 6—9 ათას კუბურს.

საკედი კუბურების დამზადების ყველაზე მარტივი წესია ნაზავის გაშლა სწორზედაპირიან ნიადაგზე, რომელზედაც წინასწარ ეყრდნა 1—2 სმ სისქის ნახერხი. მისი დაჭრა საჭირო ზომაზე შეიძლება გდვ-44 მარკის ჰიდრავლიკური დაზგით. ამას ემსახურება ორი მუშა და საათში აკეთებს 7—10 ათას კუბურს.

ჩითილის გამოსაყანად წარმატებით გამოიყენება 8×8 სმ ზომის ტორფის ქოთნები, რომლებიც მზადდება ქარხნული წესით. ამ წესით გამოიყანილი ჩითილი ქოთნიანად ირგვება მუდმივ ადგილას, რაღაც მის კედლებს და ფსკერს მცენარის ფესვები ადვილად არღვევს. გამოიყენება აგრეთვე პლასტმასის და სხვა მასალი-საგან დამზადებული ქოთნები, რომელიც ივსება ისეთივე გრუნტით, როგორიც განკუთვნილია საკედი კუბურებისათვის, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ახალი ნაკელი.

საკედი კუბურები და ქოთნები იწყობა საჩითილე განყოფილებაში კვლებზე, იმ ანგარიშით, რომ ჩითილების გაზრდისას, შეიძლება



ლუებოდეს მათი ერთმანეთისგან დაშორება. თუ მოსალოდნელობა ნებატოლის გავრცელება, მაშინ კუბურები და ქოთნები უნდა დაიწყოს პოლიეთილენის ფირზე.

კიტრის თესვა უმჯობესია უშუალოდ საკვებ კუბურებში და ოროფიან ქოთნებში. ჩითილის გამოსაყვანად საჩითილე ყუთებში 5 სმ სისქეზე იყრება. ნახერზე, ზედ ითესება თესლი, ირწყვება $25-28^{\circ}$ წყლით, ზემოდან ეყრება 0,5 სმ სისქის ისეთივე ფენა და ოღონუნებამდე ეფარება პოლიეთილენის გამჭვირვალე ფირი. ლებანფოთლების სრული გაშლის შემდეგ ოღონაცენი გადაჩითილდება საევებ კუბურებში ან ქოთნებში და მაშინვე ირწყვება 24—26 გრადუსიანი წყლით.

პამიღორის თესლი უმჯობესია დაითესოს უშუალოდ საჩითილე კვალზე. ერთ ჰექტარზე საჭირო ჩითილის მისალებად საკმარისია 200 გ თესლი, ომელიც ითესება 50 კვმ-ზე. როცა მცენარე კარგად განვითარებს ლებანფოთლებს, გადაჩითილდება საკვებ კუბურებში ან ქოთნებში და მოირწყვება.

კიტრისა და პამიღორის ნათესის მოვლა გამოიხატება ტემპერატურისა და ტენის რეჟიმის (ცხრ. 2) დაცვაში, გამოკვებაში, შეწამვლაში და გაზრდილი ჩითილის ერთმანეთისაგან საკმაო მანძილით დაშორებაში.

კიტრის იმ ჯიშების ჩითილი, ომელიც საჭიროებს დამტკიცებას, ოღონუნებილან 25—30 დღეში და მზად არის გადასარგავად ამ დროს განვითარებული უნდა ჰქონდეს 3—4 ნამდვილი ფოთოლი, ხოლო პართენოკარპიულ ჯიშებს 5—6 ფოთოლი და 30—35 დღის უნდა იყოს. პამიღორის ჩითილი დაახლოებით უნდა იყოს 35—40 დღის და განვითარებული უნდა ჰქონდეს 7—8 ფოთოლი (სიმაღლე 25—30 სმ) და პირველი საყვავილე მტევანი.

კვების არე და ჩითილის დარგები

კვების არე. კიტრის ჯიშები, ომლებიც საჭიროებენ დამტკიცერიანებას უმჯობესია დაირგოს ორმწერივიან ზოლებად, ზოლებს შორის 100 სმ. ზოლში მწყრივებს შორის 60 სმ, მცენარეებს შორის კი 35—50 სმ. ამ შემთხვევაში სათბურის 6,4 მ სიგანის თოთოეულ სექციაში მოთავსდება ორმწერივიანი ოთხი ზოლი, ხოლო 3,2 სიგანისაში კი ორმწერივიანი ორი ზოლი.

პართენოკარპიული ჯიშების დარგვა მიზანშეწონილია მწყრი-



ვად, ყოველ 160 სმ მანძილზე, მწკრივში მცენარეების ერთმანეთურთხოვა გან 45—50 სმ დაშორებით (სექციაში 4 მწკრივი).

პამიდორის კვების არე უნდა იყოს $(90-100)+(50-60) \times 40-50$ სმ. გარდამავალი კულტურა უნდა დაირგოს $(100+60) \times 50$ სმ კვების არეზე, განსაკუთრებით ძლიერ მოზარდი ჰიბრიდები და ჯოშები.

კიტრისა და პამიდორის სუსტად მოზარდ ჯიშებს ეძლევა უფრო მცირე კვების არე, ხოლო ძლიერ მოზარდებს — დიდი. ამასთან ზამთარ-გაზაფხულზე ცველა ჯიში ირგვება მცირე კვების არეზე, ხოლო შემოღვიმა-ზამთრის და გარდამავალი კულტურის წარმოების შემთხვევაში—დიდ კვების არეზე.

ჩითი ილის დარგვა სათანადოდ მოზადებული გრუნტზე დამარცერდება ისე, რომ მწკრივის სიგრძე ემთხვეოდეს სათბურის კიტრისა და პამიდორის მცენარის ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ტუმპერატურისა და ტენის რეჟიმი

ცხრილი 2

კულტურა და განვითარების ფაზები	ტუმპერატურა			კარგი მუდმივი განვითარების ფაზი	კარგი მუდმივი განვითარების ფაზი
	პარას	ტენი	გრძელება		
კიტრი					
აღმოცენებაშიდე	27—28	27—28	27—28	27—28 70—75	85—90
ჩითილის სტადიაში	22—24	20—22	16—18	20—22 70—75	70—80
გადაღვიდნ შესმოიარებაში	22—24	20—22	16—18	20—22 80—90	70—80
შესმოიარების პერიოდში	26—28	22—24	18—20	22—24 80—90	80—90
კიტრი					
აღმოცენებაშიდე	23—24	23—24	23—24	23—24 60—70	85—90
ჩითილის სტადიაში	21—23	18—20	14—16	16—18 60—70	70—75
გადაღვიდნ 1-მტევნის ნაყოფების შესრულებაში	22—24	18—20	15—16	17—19 60—70	75—80
შესმოიარების პერიოდში	24—26	20—22	16—18	18—20 60—70	85—90

სექციის სიგრძეს. გამოიყენება ხეზიც, რომელზედაც მონიშნული იქნება მცენარის დასარგავი აღგილი. აღნიშნულ აღგილებში ამოილება ბუდნები. წინადლით მორწყული საჩითილედან ამოილება კარგად განვითარებული, ხალი მცენარეები, გადაიტანება ბუდნებში, მიეკრება მიწა, მიეტკენება და მოირწყვება 24—26 გრადუსიანი წყლით. გაცდენილ ადგილები გამოირგვება მცენარის

კვების რეზიტი

სათბურში მცენარის კვება ითვალისწინებს ძირითად განო-
კებებს და დამატებით გამოკვებას. ძირითადი განოყიერებისას
სასუქები მშრალი სახით შეაქვთ, ხნავენ სრულ სიღრმეზე და ფრე-
ზერდება. გამოკვებისათვის სასუქები შეაქვთ ხსნარის სახით. შეიძ-
ლება იგრეოვე, სასუქის მობნევით და ზედმიყოლებითი მორწყვით
ან ნიადაგის გაფხვიერებით. სასუქები თანაბრად უნდა მოიფანტოს
მთელ ფართობზე.

იმისათვის რომ დავადგინოთ მცენარის ნორმალური კვებისა-
თვის საჭირო სასუქის დოზები, გამოყენებული უნდა იქნეს ცხრი-
ლი 3.

ჩითილების დარგვამდე გრუნტში უნდა განისაზღვროს: ტენი,
ორგანული ნივთიერებები, წყალში ხსნადი მარილების საერთო
კონცენტრაცია, PH წყლის სუსპენზიაში, PH მარილების სუსპენ-
ზიაში, ამონიაკური აზოტი, ნიტრატული აზოტი, მოძრავი ფოსფო-
რი, შთანთქმული კალიუმი, მოძრავი მაგნიუმი, მოძრავი კალციუმი,
მარგანეცი, ალუმინი, რკინა და ქლორიდები. ვეგეტაციის ბოლოს,
ზემოთ აღნიშნული ანალიზები ჩატარდება უკანასკნელი ოთხის
გარდა.

გამოკვებისათვის საჭირო სასუქების დოზების დასადგენად,
თვეში ერთხელ, გრუნტში უნდა განისაზღვროს ტენი, ნიტრატული
აზოტი, ამონიაკური აზოტი, მოძრავი ფოსფორი, შთანთქმული კა-
ლიუმი, PH წყლის სუსპენზიაში და წყალში ხსნადი მარილების
საერთო კონცენტრაცია.

საანალიზო ნიმუშის აღებისას ყურადღება უნდა მიექცეს გრუ-
ნტის თანაბრობას, ნაყოფიერების მხრივ. თუ გრუნტი გამოთანაბ-
რებულია, მაშინ 1000 კვმ ფართობზე 20 ადგილას აიღება საა-
ნალიზო ნიმუშები, მაგრამ ნაყოფიერების სიჭრელის შემთხვევაში,
ფართობი შემცირდება. 20 ნიმუშიდან აიღება ერთი საშუალო ნი-
მუში, რომლის წონა უნდა იყოს 500 გრამი.

ნიმუშები აიღება ბურლით 0—25 სმ ფენაში, დიაგონალზე,
რომელიც მიიღება დიაგონალის სიგრძის გაყო-
ჭით ასალები ნიმუშის რაოდენობაზე. ვეგეტაციის პერიოდში ნი-

მუშები აიღება მწკრივში მცენარეთა შორის. ნიმუში მოთავსდება პლასტმასის პარქში, რომელსაც თავი ეკვრება და უკეთდება კერძოდ გამენტის ქალალდის ეტიკეტი. ეტიკეტზე აღინიშნება ნიმუშის სათბურის, ბლოკის და ბრიგადის ნომერი და ნიმუშის აღების თარიღი. იქვე გაუკეთდება აგროქიმიკოსის ხელმოწერა. გარდა ამისა, უნდა შედგეს ნიმუშის აღების უწყისი ორ ცალად 1—დანართის მიხედვით. ერთი რჩება ადგილზე, ხოლო მეორე კი გაყვება. ნიმუშებს. ნიმუშებს მაშინვე უკეთდება ანალიზი სასათბურე მეურნეობის ლაბორატორიაში. თუ ასეთი არ არის, მაშინ უნდა გაიგზავნოს აგროქიმიურ ზონალურ ლაბორატორიაში. გრუნტში საკვები ნივთიერებების განსაზღვრა უნდა მოხდეს წყლის გამონაწურში — 1 : 10; PH-წყლის სუსპენზიაში და მარილების საერთო კონცენტრაცია, მარგანცი, ალუმინი, რკინა — 1 : 5.

(1:5).

ამონიუმის აზოტი საჭიროა განისაზღვროს ნესლერის მეთოდით, ნიტრატული აზოტი—გრანვალ ლიაჟოს, ფოსფორი—ტროფოზოს, კალიუმი—მასლოვის (დანართი 2 და 3), ხოლო მაგნიუმი და კალციუმი „ტრილონომეტრიული“ მეთოდით.

ლაბორატორიამ ანალიზის შედეგები უნდა გასცეს ნიმუშის აღებიდან 4—7 დღის განმავლობაში მოკლე რეკომენდაციით (დანართი 4).

საერთოდ, ზემოაღნიშნული ანალიზების ჩატარებისათვის ლაბორატორიამ უნდა იხელმძღვანელოს საკავშირო სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 1973 წელს გამოცემულ მეთოდერი მითითებით „დაცული გრუნტის მებოსტნეობაში აგროქიმიური გამოკვლევებისა და ანალიზების ჩატარების ორგანიზაციის შესახებ“ ნაწილი I.

საკვები ნივთიერებების განსაღვრა საჭირო ჩატარდეს გრუნტის დეზინფექციის, გადამწვარი ნაკელის შეტანის, ჩახვის და ფრეზერის გატარების შემდეგ, რომ სწორი წარმოდგენა გვქონდეს გრუნტში არსებული საკვები ელემენტების რაოდენობასა და ორგანული ნივთიერებების პროცენტულ შემცველობაზე.

აგროქიმიური ანალიზების ჩატარების შემდეგ გრუნტში უნდა განისაზღვროს ძირითადი საკვები ელემენტების ოპტიმალური რაოდენობა, ორგანული ნივთიერების პროცენტის გათვალისწინებით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიური რაოდენობა

$$\text{შემოხვევაში } \text{აზოტის } \text{და } \text{მაგნიუმის } \text{ოპტიმალური } \text{რაოდენობა} \\ \text{უდრის } \frac{B+2+15}{3}, \text{ ხოლო } \text{კალიუმი } \text{ა } \text{კი } \frac{(B+2+15) \cdot 2}{3}. \text{ } B = \frac{\text{მაგნიუმი}}{\text{აზოტი}}$$

ორგანული ნივთიერების პროცენტი, მაგალითად თუ გრუნტში არ ის 24% ორგანული ნივთიერება, მაშინ ყოველ 100 გრამ ჰაერში რალ გრუნტში აზოტის და მაგნიუმის ოპტიმალური ოდენობა იქნება $\frac{24+2+15}{3} = 21$ მლგ; ხოლო კალიუმის კი $\frac{(24+2+15) \cdot 2}{3} = 42$ მლგ.

ამის შემდეგ გრუნტი უნდა შეფასდეს საკვები ნივთიერებებით უზრუნველყოფის დონის მიხედვით, შემდეგნაირად:

1. დაბალი, როცა გრუნტში არის აზოტი, კალიუმი ან მაგნიუმი ოპტიმალური ოდენობის 0-დან 1/3-მდე.
2. ზომიერი — 1/3-დან 2/3-მდე.
3. ნორმალური 2/3-დან 1-მდე.
4. მომატებული 1-დან 1 1/3-მდე.
5. მაღალი — 1 1/3-ზე მეტი.

ფოსფორის შემცველობის მხრივ გრუნტი იყოფა:

1. დაბალი, როცა 100 გრამ ჰაერში გრუნტში არის 0-დან 2 მლგ-მდე.
2. ზომიერი — 2 — 4 მლგ
3. ნორმალური — 4 — 6 "
4. მომატებული — 6 — 8 "
5. მაღალი — 8 მლგ-ზე მეტი.

ჯგუფის მიეკუთვნების შემდეგ, სასუქების დოზების დასადგენად გამოყენებული უნდა იქნეს მესამე ცხრილი.

მაგალითი. თუ ანალიზის შედეგად 100 გ ჰაერში გრუნტში აღმოჩნდა 13 მლგ აზოტი და 24% ორგანული ნივთიერება, მაშინ აზოტის ოპტიმალური რაოდენობა იქნება 21 მილიგრამი (ფორმულით) და გრუნტი ამ ელემენტის მხრივ მიეკუთვნება მეორე ჯგუფს (1/3—2/3), რის საფუძველზედაც მესამე ცხრილის მიხედვით გრუნტში კიტრის ქვეშ შეტანილი უნდა იქნეს 14—15 გრამი აზოტი (რადგან 21 მლგ-დან 13 მლგ 2/3-თან უფრო ახლოს არის, ვიდრე 1/3-თან), ხოლო ჰაერში კი 21—22 გრამი.

კიტრისა და პაშილორის გრუნტის განვითარებისათვის საკვები ელემენტების მცნობიერების საორიენტაციო დოკუმენტი

გრუნტში შეიტანება მოქმედი ნივთიერებები გ/მ²

ტენის ქადაგი	უზრუნველყოფის დონე საკვები ელემენტებით	N	P ₂ O ₅	K ₂ O	Mg
კ ი ტ რ ი					
1 ფაბალი	21—29	45—60	26—39	5—8	
2 ზომიერი	14—21	23—45	13—26	3—5	
3 ჩორბალური	7—14	0—23	0—13	0—3	
4 გომატებული	0—7	0	0	0	
5 ჰალალი	0	0	0	0	
3 ა მ ა დ ი რ ი					
1 ფაბალი	29—34	45—60	73—100	26—39	
2 ზომიერი	21—2	23—25	57—78	16—26	
3 ნორმალური	14—21	0—23	39—57	10—16	
4 გომატებული	7—14	0	18—39	5—10	
5 მალალი	0—7	0	0—18	0—5	

კიტრი უნდა ღარისხის პაშილორის შემდეგ ღარგვის წინ თითოეულ კვადრატულ მეტრზე შეიტანება 20—25 კგ გადამწვარი ნაკელი (უკიდურეს შემთხვევაში ნახევრად გადამწვარი), ჩაიხვნება სრულ სიღრმეზე და გატარდება ფრეზერი. უმს შემდეგ აიღება საანალიზო ნიმუშები და ზემოთ აღნიშნული წესით ღადგინდება გრუნტში შესატანი სასუქების დოზები.

მცენარეების გამოკვებისათვის საჭირო სასუქების ნორმები და გამოკვების რაოდენობა განისაზღვრება ყოველთვიურად იგროქითიური ანალიზებით. თუ საკვები ელემენტების შემცველობის მხრივ გრუნტი მიეკუთვნება 1 კგუფს, მაშინ გამოკვება უნდა ჩატარდეს კვირაში ერთხელ; მე-2 კგუფის გრუნტის შემთხვევაში გამოკვება ჩატარდება ყოველ 9—10 დღეში; მე-3 კგუფის—12—13; მე-4 და მე-5 კგუფის გრუნტში გამოკვების მიცემა საჭირო არ არის, გამონაკლისია მხოლოდ გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში მე-4 კგუფის გრუნტი, როცა ორგანული ნივთიერების პროცენტი 50 აღემატება, აქ ყოველ 10 დღეში ერთ კვმ-ზე შეიძლება შევიტანოთ 10 გ-მდე აზოტი, ასევე იანვარ-მარტში 10 გ-მდე კალიუმი.

უნდა გვახსოვდეს, რომ კიტრის თითოეული გამოკვებისათვის უველა სახის სასუქი ერთ კვმ-ზე არ უნდა აღემატებოდეს 70, ხოლო ხსნარის კონცენტრაცია 0,15—0,20%.



გამოკვების წინ საჭიროა გრუნტის დატენინება, გამოკვების შემდეგ მცენარეების ფოთლებიდან საკვების ხსნარი უნდა ჩამოჰქმდეთ რეცხოს სუფთა წყლით.

როცა მცენარეს უჭირს საკვები ელემენტების ნორმალური შეთვისება (ცუდი განათებულობის, გრუნტში მარილების მაღალი კონცენტრაციის, დაბალი ტემპერატურის, გალებიანი ნემატოდის გაერცელებისა და სხვა მიზეზების გამო), საჭიროა ჩატარდეს დამატებითი ფესვგარეშე გამოკვება. ამ შემთხვევაში მაკრო და მცენარეს სუქებისაგან დამზადებული საკვები ხსნარი მცენარეებს შეესხურება სარწყავი სისტემის საშუალებით, ღრუბლიან დღეს ან მზანი დღის შეორე ნახევარში.

მიკროსასუქების ხსნარის დასამზადებლად ყოველ 100 ლიტრ წყალში უნდა გაიხსნას 50 — 70 გ ამონიუმის გვარჯილა ან 200 გ შარდოვანა, 70 — 80 გ კალიუმის სულფატი და დემატოს 100 — 120 გ სუფერფონსფატის გამონაწური, რომელიც მზადდება შემდეგნაირად: შესხურებამდე 1—2 დღით ადრე 100 ლიტრ წყალში იხსნება 10 კგ სუფერფონსფატი, რომელიც დღე-დამის განმავლობაში ასამდენჯერმე აირევა. გამოკვების დაწყებამდე 4—5 საათით ადრე არევა უნდა შეწყდეს. ამის შემდეგ ხსნარი დოლზანტში ან სხვა რაიმე ფილტრში იწურება. შიკროლემენტებით ფესვგარეშე გამოკვებისათვის საჭიროა სადედე ხსნარის დამზადება. ამ შემთხვევაში 10 ლიტრ წყალში იხსნება 1,0 გ მოლიბდენმეჟავა ამონიუმი, 18,0 გ მარგანეცის სულფატი 28,6 გ ბორის სიმეჟავა და 0,8 გ სპილენძის შებამანი. ასეთი ხსნარის ერთი მილილიტრი ემატება ერთ ლიტრ მაკროლემენტების ხსნარს.

ერთი ჰექტარი სათბურის ერთფერადი გამოკვებისათვის საჭიროა დამზლოებით 2500—3000 ლიტრი მაკრო და მიკროსასუქების ხსნარი.

პ ა მ ი დ ო რ ი. პამიდორი უნდა დაირგოს კიტრის შემდეგ თუ წინამორბედი კულტურა გარდამვალი (ერთ ბრუნევაში) იყო, მაშინ ყოველ კვერცხში შეიტანება 15—20 კგ გადამწვარი ნაკელი, რომელიც ჩაიხვნება და დაფრეზერდება. წინამორბედი კულტურის ორ ბრუნვაში წარმოების შემთხვევაში გრუნტი შეიძლება აღარ გავანოყიეროთ ნაკელით. პამიდორის გრუნტის განოყიერება და დამატებითი გამოკვება ისე უნდა მოგვარდეს, რომ მიღწეული იქნეს მცენარეების ნორმალური ზრდა-განვითარება. ზრდაში გათამამებული მცენარეები მოგვიანებით შედიან მსხმოიარობაში.



არც ზრდა-განვითარებაში ჩამორჩენაა მიზანშეწონილი. ამიტომ მინერალური სასუქებით ძირითადი განვითარებისა და დამატებული გამოკვების საკითხი გრუნტის ქიმიური ანალიზის შედეგების საშუალებით უნდა გადაწყვდეს, ამასთან მხედველობაში მიღება მცენარეების საერთო მდგომარეობა. გათამამებული მცენარის ზრდის შესახერებლად საჭიროა აზოტის დოზის შემცირება ან შეწყვეტა.

ვეგეტაციის პერიოდში საჭიროა მცენარეების 5—8-ჯერ გამოკვება. ამ შემთხვევაში ხსნარის კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს 1,0%, ხოლო მისი წნევა მიღებიან გამოსხურებისას 1 ატ-მოსფეროს. ამის გარდა გამოკვების სახით საჭიროა გოგირდმეული მაგნიუმის 1%-იანი ხსნარის შესხურება მცენარეზე ყოველ 10 დღეში ერთხელ.

კონტროლი ტოქსიკურობაზე. კიტრის მცენარეზე ტოქსიკურად მოქმედებს როცა 100 გ პარმშრალ გრუნტში არის 30 მილიგრამზე მეტი ქლორი, 35 მილიგრამი ამიაკური აზოტი და სხვ. პამიდორი კიტრიან შედარებით გამძლეა, მაგრამ გადიდებული დოზები მასზეც ტოქსიკურად მოქმედებს. ასეთივე უარყოფით გავლენას ახდენს აღნიშნულ კულტურებზე ალუმინის, რკინისა და მარგანეცის მომატებული შემცველობა.

მცენარეზე ტოქსიკურად მოქმედებს აგრეთვე მარილების მაღალი კონცენტრაცია. ამ შემთხვევაში მცენარის ფესვთა სისტემას უქვეითდება საკვები ნივთიერებების შეთვისების უნარი, ნაყოფებს ინვითარებს ზომაზე ნაკლებს და საგრძნობლად მცირდება მოსავლიანობა, თუ მარილების კონცენტრაცია მკვეთრად გადიდდა, მცენარე მოლიანად იღუპება. ეს მეტად შეიმჩნევა კიტრზე, რაც შეეხება პამიდორს, ის უფრო გამძლეა.

სათბურის გრუნტში მარილების დასაშვები კონცენტრაცია უდრის ^{B. 2 + 15}_{1.0}: B—არის ორგანული ნივთიერების პროცენტი. მაგალითად, თუ გრუნტში არის 20% ორგანული ნივთიერება, მაშინ მარილების კონცენტრაცია შეიძლება დაშვებულ იქნეს 0,55 პროცენტამდე. მომატების შემთხვევაში საჭიროა კონცენტრაციის დასაწევი ღონისძიების გატარება.

გრუნტში კალიუმის მარილის შეტანით და სხვა მიზეზების გამო, დიდი რაოდენობით გროვდება ნატრიუმი და ქლორი, რომელიც დამღუპველად მოქმედებს მცენარეზე. 100 გრამ პარმშრალ-

გრუნტში ნატრიუმქლორის დასაშვები ოდენობა მილიგრამებში
უდრის ორგანული ნივთიერების პროცენტი გამრავლებული ორზე
და მიმატებული 15.



იმისათვის, რომ გრუნტში, მარილების კონცენტრაცია არ გა-
დიდდეს საჭიროა:

1. გრუნტის სისტემატური აგროქიმიური კონტროლი, რაც
გამოიხატება ანალიზების თავის დროზე და მაღალხარისხოვნად ჩა-
ტარებაში და საჭირო რაოდენობის სასუქების შეტანაში.

2. ნაკლებბალასტიანი და ისეთი ორგანული და მინერალური
სასუქების გამოყენება, რომელიც ნაკლები რაოდენობით შეიცავს
ქლორს, ალუმინს, რეინის ზეჟანგს, ნატრიუმს და სხვ;

3. დაბალმინერალიზებული სარწყავი წყლის გამოყენება;

4. კარგად მოწყობილი სადრენაჟო სისტემა.

თუ გრუნტში დიდი რაოდენობით დაგროვდა მარილები, სა-
ჭიროა დარგვის წინ მასი ჩარეცხვა სარწყავი წყლის საშუალებით.
ჩარეცხვის წინ გრუნტი უნდა მოიხნას სრულ სიღრმეზე და შემდეგ
გაფხვიერდეს ფრეზერით. გაფხვიერებულ გრუნტს, მარილების
კონცენტრაციის მიხედვით, კვმ-ზე დაწვიმებით ესხმება 150—400
ლ წყალი. ეს ოპერაცია უნდა ჩატარდეს გრუნტის დეზინფექციის
შემდეგ.

3
K 6+3 გრუნტში მარილების კონცენტრაციის შესამცირებლად შეიძ-
ლება გამოყენებული იქნეს აგრეთვე გრუნტის ზედაფენის აღება
და ამის მაგივრად, საკვები ნივთიერებებით ღარიბი კომპონენტების,
კერძოდ, ნახერხის, წვრილად დაჭრილი ნამჯის, ტორფის და სხვა-
თა დამატება.

ნახშირორჟანგის რეჟიმი სათბურში. კიტრის
და პამიდორის კულტურისათვის სათბურის ჰაერში უნდა იყოს
0,2—0,3% ნახშირორჟანგი. ამის უზრუნველყოფა მოხერხებულია
სპეციალურ ქურაში ბუნებრივი გაზის დაწვით. CO₂ უნდა მიეწო-
დოს მზიან ამინდში დღეში ორგერ 1,5—2,0 საათით (დილით და
დღის მეორე ნახევარში). ამ დროს საჭიროა საუენტილაციო სარკ-
მელის დახურვა.

სასათბურე კომბინატებში CO₂-ის მიწოდება შეიძლება აგრეთვე
ბალონებით და მშრალი ყინულით. ჰაერში ნაშირორჟანგის გასა-
ზომად გამოყენებული უნდა იქნეს სპეციალური მოწყობილობა.



სარწყავი წყალი უნდა იყოს სუფთა, მცირედ მინერალური კლიფებისა და არ უნდა შეიცავდეს მცენარისათვის მაგნე ნივთიერებებს. ამასთან მისი ტემპერატურა უნდა იყოს ისეთი, როგორიც სათბურის პაერის (ოპტიმალური) ტემპერატურა. ნიაღავის და პაერის ტენიანობა დაცული უნდა იყოს მე-2 ცხრილის მიხედვით. მორწყვა უნდა ჩატარდეს ნიაღავში ტენის განსაზღვრის შემდეგ, დასაწვიმებელი მოწყობილობით, დღის პირველ ნახევარში, სათანადო ნორმით. წყალი თანაბრად უნდა განაწილდეს გრუნტის ზედაპირზე. პამილორის მოსარწყავად სათბურის საწვიმი მოწყობილობა დაბლა უნდა დაწიოს, კიტრის ნარგავში კი პირიქით, სანამ ნარგავი შპალერს მიალწევს, ზემოდან მორწყვა უფრო ხელსაყრელია, თუკი მცენარები არ არის დაავლებული. ზემოდან მორწყვა პამილორის ჯანსაღ ნარგავშიაც შეიძლება, თუ ეს ტემპერატურის დასაწვევადაც არის გამიზნული. რეზინის შლანგით მორწყვა არ არის სასურველი უკიდურეს შემთხვევაში საჭიროა მას გაუკეთდეს წყლის საფრქვევი. რწყვა ისე უნდა ჩატარდეს, რომ წყალი არ გავიდეს გრუნტის ფენიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორი კარგი დრენაჟიც არ უნდა ვქინდეს სათბურს, მაინც გამოვა მწყობრიდან, რადგან გრუნტიდან გამოსულ წყალს თან მიჰყვება გრუნტის მცირე ნაშილებები, რომელთა უმეტესობა რჩება საღრენაჟი ფენაში და თუ ამას სისტემატური ხასიათი მიეცა, დრენაჟის არსებული სიცარიელები გაიცვება გრუნტით და დაეირგვას თავის მიზნების შემთხველობას. უფრო მეტიც, თუ დრენაჟის ფენის შევევით დამლაშებას აქვს აღვილი, მაშინ დრენაჟში შექმნილი კაპილარებით მარილები გრუნტში ამოვა და გამოიწვევს მის დამლაშებას.

მცენარის ფორმირება

კიტრი. როდესაც მცენარები 5—7 ფოთოლს განვითარებენ საჭიროა მათი აკვრა შპალერზე. ამ მიზნით ყოველი მწყრივის თავზე გრუნტის პარალელურად 2,0—2,2 მ სიმაღლეზე იპმება მავთული. მასზე ვერტიკალურ შდგომარეობაში მაგრდება კანაფი, რომლის მეორე ბოლო გრუნტის ახლოს ღეროს მუხლებშორის ეხვევა მცენარეს მარყუებად, მცენარის ზრდასთან ერთად საჭიროა მისი შემოხვევა კანაფზე. უმჯობესია გამოყენებულ იქნეს სინთეტიკური კანაფი, რომლის შეძენა შეიძლება „საქსოფლტექნიკაში“.



კლინის ჯიშის ტიპის მცენარეების მთავარი ღერო პირველ იკვეცება მაშინ, როცა განვითარდება 8—9 ფოთოლი. მოძღვებული შეკვეცა წარმოებს ყოველი 2—3 ფოთოლის შემდეგ, სანამ მცენარე მიაღწივდეს შპალერს. ამის შემდეგ ის გადაკიდება შპალერის მავთულზე და იზრდება თავისუფლად; გვერდითი ლართხები იკვეცება 1—2 ნაყოფის შემდეგ. ნაყოფგანუვითარებელი ლართხები ძირშივე იკვეცება.

კლინის ჯიშის მცენარეებისაგან განსხვავებით, მოკლენაყოფიანი ჯიშების მცენარეებს მთავარი ღერო ეკვეცება მაშინ, როცა მიაღწევს შპალერს. დანარჩენი ყველაფერი ისეა, როგორც ზემოთ იყო ონიშნული. შეკვეცა უნდა ჩატარდეს ნაზარდის წვერის მოშორებით. დაუშავებულია დიდი მასის მოშორება მცენარეზე.

მსხმიარობის პერიოდში საჭიროა შეკვითლებული ფოთლების და გვერდითი ლართხების სისტემატური მოშორება მცენარიდან და სათბურიდან გამოტანა. რომლებმაც დამთავრეს მოსავლის მოცემა და ორი იძლევიან ახალ ნაზარდს.

პართენოკარბოული ჯიშების და პიბრიდების მცენარეების მთავარი ღერო იკვეცება შპალერის მავთულის ზემოთ ორი-სამი ფოთლის შემდეგ, მიწის პირიდან დაახლოებით 50 სმ-მდე ღეროზე ეცლება ყველა გვერდითი ლართხი და ყვავილი. გრუნტიდან, დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლემდე, გვერდითი ლართხები იკვეცება ერთ ფოთოლზე და ნაყოფზე; ერთიდან—1,5-1,7 მ სიმაღლემდე 2 ფოთოლზე და ნაყოფზე; ხოლო ზევით, მავთულამდე — სამზე. შპალერის მავთულთან განვითარებული 2—3 გვერდით ლართხი გადაკიდებული უნდა იქნეს მავთულზე და დაეშვას ქვევით. ისინი იკვეცებიან ყოველ 50 სმ შემდეგ, ხოლო მათზე განვითარებული გვერდითი ლართხები კი 1—2 ფოთოლზე და ნაყოფზე.

საერთოდ, ყველა ჯიშებზე კარგ განათებულ პირობებში, მცენარეზე უნდა დაიტოვოს მეტი რაოდენობის ნაყოფები და ფოთლები, ვიდრე შედარებით სუსტი სინათლის დროს.

დამტვერვის ნორმალურად ჩატარებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს ფუტკარი. 1000 კვმ-ზე საჭიროა ერთი ოჭახი.

პამიდორი, როგორც კიტრი უნდა მიებას ვერტიკალურად ჩამობმულ კანაფზე. კულტურის წარმოება უმჯობესია ერთ ღეროზე. საჭიროა ჩატარდეს ნამხრევების სისტემატური შეცლა, სანამ ნამხრევი გაიზრდება 7—10 სმ-მდე. როცა მცენარეს ღერო მიაღ-

შევს შპალერს, ის გადაიკიდება თავისივე ან მეზობელი შპალერს მავთულზე და ზრდას გააგრძელებს ქვემოთ. ლერს წვერს შექ-ვეცა მიზაშნერილია ვეგეტაციის დამთავრებამდე 1,5—2,5 თვით-აღრე.

დამტვერვის ნორმალურად ჩატარებისათვის საჭიროა ელექ-ტრომრხევის გამოყენება.

სისტემატურად უნდა ჩატარდეს სიმწიფეში შესული მტევნის ქვემოთ არსებული ფოთლების შეცვლა, დილის საათებში. ეს ოპე-რაცია საჭიროა ჩატარდეს მუ-5—6 მტევნამდე, ყოველ კვირაში 2—3 ფოთლის შეცვლით.

აცვნარება დაცვა

1. სასათბურე კომპინატის ტერიტორიაზე და მის ირგვლივ არ შეიძლება დაითესოს გოგროვანთა და ძალლურძენათა ოჯახში შე-მავალი კულტურები. ამასთან ეს ტერიტორია სარეველა მცენარეე-ბისაგან სუფთა უნდა იყოს;

2. სათბურის შესასვლელში დაფუნილი უნდა იყოს სადეზინ-ფექტო ხალიჩა, რომელიც ყოველთვის სველ მდგომარეობაში უნდა იყოს მარილწყლის, ქლორიანი კირის ან ამონიუმის გვარჯი-ლის ხსნარით;

3. სათბურის შემაერთებელი კორიდორი სუფთა მდგომარეო-ბაში უნდა იმყოფებოდეს. დაუშვებელია ყვავილები და სხვა დე-კორატიული მცენარეები;

4. ინვენტარი, მოწყობილობა, სპეცტანსაცმელი და ფეხსაცმე-ლი საჭიროა მიმაგრებული იქნეს თითოეულ სათბურზე და ყოველი სეზონის ბოლოს ან დასაწყისში უკეთდებოდეს დეზინფექ-ცია. ეს ოპერაცია საჭიროა ჩატარდეს აგრეთვე, ვეგეტაციის პერი-ოდში დაავადების გამოჩენის შემთხვევაში;

5. სათბურში დაცული უნდა იქნეს მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ოპტიმალური პირობები;

6. სათბურში არ უნდა დაირგოს დაავადების ნიშნების მქონე ჩითილი, ამასთან უნდა ვერიდოთ სხვა მეურნეობიდან ჩითილის მოტანის, თუ გინდ ის ჯანსაღად გამოიყურებოდეს, განსაკუთრე-ბით მაშინ, როც მეურნეობა დასერიანებულია;

7. მცენარეს სისტემატურად უნდა მოშორდეს და სათბურები-დან გამოტანილი იქნეს დაავადებული, მობერებული და შეყვით-ლებული ფოთლები;



8. ნარგავის მოვლითი სამუშაოები დაწყებული უნდა იქნება დასენიანებული სათბურიდან, რომლის შემდეგ ნახმარ ინფორმაცია; ტარს, მოწყობილობას და სხვას უნდა გაუკეთდეს დეზინფექცია;

9. მავნებელ-ავადმყოფობების განადგურების მიზნით, ყოველი სეზონის დამთავრებისას (უკიდურეს შემთხვევაში წელიწადში ერთხელ) საჭიროა სათბურის დეზინფექცია გაზური ან სველი მეთოდით. დეზინფექცია უმჯობესია ჩატარდეს ორჯერ — უკანასკნელი კრეფის დამთავრებისთანავე, მცენარეების და მისი ნარჩენების სათბურებიდან გამოტანამდე და გამოტანის შემდეგ, დარგვამდე 7—10 დღით ადრე.

დეზინფექციის დაწყების წინ საჭიროა სათბურის სრული ჰერმეტიზაცია ამ მიზნით უნდა ჩატარდეს შემინვა, ჩასმული მინების დაგონვა და ნაპრალების ამოვსება დასათბურებული მასალებით (ბამბა, ძენი და სხვ). ამასთან, ნაპრალებში იღრე გაკეთებული და სათბურებული მასალები ახლით უნდა შეიცვალოს და ძველი დაიწვას ან მიწაში ღრმად ჩაიმარხოს.

გაზური დეზინფექციის ეფექტურობის გაზრდის მიზნით საჭიროა სათბურში ტემპერატურის და ტენის გადიდება. ეს ხდება გამთბობი სისტემის ჩართვით და სათბურში წყლის გაფრქვევით.

გაზური დეზინფექციისათვის გამოიყენება გოგირდი, უმჯობესია მისი პატრუქები. თუ ეს უკანასკნელი არ არის, მაშინ გოგირდის ფხვნილი იყრება ოუნუქის ფირფიტებზე, იდგმება სათბურის სხვადასხვა ადგილს და ეკიდება ცეცხლი. ერთ კუბურ მეტრ სათბურზე საჭიროა 50 გ გოგირდის დაწვა. დეზინფექციის ხანგრძლივობა 1—2 დღე. ამ ოპერაციის ჩატარებისას სათბურის ტემპერატურა არ უნდა იყოს 15 გრადუსზე ნაკლები. დეზინფექციის ჩატარებლები იყენებენ აირწინალებს. ამასთან გატარებული უნდა იყოს ხანდარსაწინააღმდეგო ღონისძებები.

დეზინფექციის დამთავრებისას უნდა გაიღოს სავენტილაციო სარკმელები და კარებები. გოგირდის სუნის გაქრობის შემდეგ სათბურიდან გაიტანება მცენარეების ყოველგვარი ანარჩენები და დაიწვება. შემდეგ შეიძლება ჩატარდეს მეორე დეზინფექცია.

სველი დეზინფექციის ჩატარება ხდება კელტიანით და ცინებით (0,5%), კარბოფოსით (0,5%), ქლოროფოსით (0,3%), ფორმალინით (5%); კარატანით (0,2%) და სხვა პრეპარატებით. ხსნარი უნდა შეესხუროს და კარგად დასცელდეს სათბურის, როგორც გრუ-

ტის ზედაპირი, ისე კედლები, სახურავი (შიგნითა მხარე), მიღწეული /
მოწყობილობისა და ინენტრარის ზედაპირი. ერთ კვადრატულ მეტრზე
ზედაპირზე საჭიროა ერთი ლიტრი სნარი. ერთ დღე-ლამის შეძლებ
საჭირო იქნება სათბურის განივება. ამასთან მცენარეები და მისი
ნარჩენები, აგრეთვე გრუნტის 1,5—2,0 სმ სისქის ზედა ფენა გა-
მოტანილი უნდა იქნეს სათბურიდან. ამის შემდეგ შეიძლება დე-
ზინფექციის მეორედ ჩატარება.

იმ შემთხვევაში თუ სათბურის გრუნტში აღმოჩნდა ნემატოდა,
ვირუსოვანი და სოკოვანი ავადმყოფობები, საჭიროა მისი კარბა-
ტინის სნარით ან თერმული მეთოდით დეზინფექციის ჩატარე-
ბა (ზემოთ აღნიშნული დეზინფექციის შემდეგ):

კარბატიონით გრუნტის დეზინფექცია უნდა ჩატარდეს დარგ-
ვამდე 20—30 დღით აღრე, სათბურიდან მცენარეებისა და მისი
ანარჩენების გატანის შემდეგ. შეწამვლის წინ გრუნტი უნდა გაფხ-
ვიერდეს მოელ სილრმეზე და ერთ კვმ-ზე მოესხუროს 10 ლიტრი
აღნიშნული პრეპარატის 2%-იანი სნარი. ამის შემდეგ გრუნტი, ის-
ევ უნდა გაფხვიერდეს და დაიტევპნოს ან დაეფაროს პლასტმასის-
ფირი 5—7 დღის განმავლობაში. ამ ლონისძიების გატარების დრო-
7—10 დღე გრუნტის ტემპერატურა უნდა იყოს 12-დან 14 გრადუ-
სამდე.

თერმული დეზინფექციისათვის გრუნტი უნდა გაფხვიერდეს
მოელ სილრმეზე, ზედა ფენის ამოუბრუნებლად. სათბურის კედ-
ლებთან და სხვა მიუდგომელ ადგილებში საჭიროა მიწის აღება
30—40 სმ სიგანეზე და მისი მოშორებით გაფანტვა. (შესაძლებე-
ლია აგრეთვე ასეთი ადგილების კარბათიონით დეზინფექცია).
ასე მომზადებულ გრუნტში იდება მილები, რომლებიც შეერთე-
ბულია ცხელი ორთქლის წყაროსთან. მას ეფარება ტემპერატურა-
გამძლე პლასტმასის ფირი, მის ნაცირებს მჭიდროდ ეწყობა 70—
100 სმ სიგრძის და 12—16 სმ დიამეტრის სილით სავსე პარკეტი.
გარდა ამისა ფირის ქვეშ, გრუნტში 25—30 სმ სილრმეზე თავსდება
დისტანციური თერმომეტრის მაჩვენებელი, (ამ მიზნით კარგია ავ-
როფიზიკის ინსტრუმენტის ხუთწერტილიანი თერმომეტრი), ხოლო
ტემპერატურის საჩვენებელი მოწყობილობა იდგმება სათბურის-
გასასვლელში. ფირის ქვეშ მილებით უნდა შედიოდეს 0,5 ატმოს-
ფეროს (5 მმ წყლის სვეტი) წნევის 100—110 გრადუსიანი ორთქ-
ლი. მორიგე მუშა ყოველ ორ საათში უნდა ზომავდეს ტემპერა-
ტურას და წერდეს ეურნალში.



ორთქლის მიწოდების დაწყებიდან დაახლოებით 9—21 კვერცხურა თის შემდეგ 25—30 სმ სიღრმეზე ტემპერატურა მიაღწევს 95—100 გრადუსს. ამის შემდეგ ორთქლის მიწოდება გრძელდება კიდევ 1,5—2,0 საათს. ასე, რომ დეზინფექცია გაგრძელდება 10—12 საათს. სათბურის გაგრილების შემდეგ ფირი უნდა დაიხვეს და გადატანილი იქნეს ახალ ადგილას. საერთოდ, დეზინფექციის დაწყება უმჯობესია თითოეული სექციის თრი მოწინააღმდეგ მხრიდან ერთდროულად.

კიტრისა და პაშიდორის ძირითადი მავნებელ-ავადმყოფობები და მათ
წინააღმდეგ გამოსაყენებელი პრეპარატები

მავნებლები და ფარმაკო- ფობები	პრეპარატი	პრეპარატის ქონცენტ- რაციის % შესტრე- ბისას მცენარის ხეო- ვანების მიხედვით		შესტრე- ბისას აუცილე- ბელი და უცილე- ნები
		3-ჯემდე	3-თვის შემდევ	
ვოგროვანთა ბუგრები და ტილები	1. კარბოფონი	0,1—0,15	0,15—0,2	2—3
აბლაბუდინი	ქვედატანი შორასტრენი	0,1 0,03	0,15 0,05	4 1—2
ტეკბა	აკრება ფუხააზოლი	0,05—0,06	0,07—0,1	2
ვოგროვანთა ნაცარი	ქარატანი შორასტრენი	0,1 0,03—0,04	0,1 0,05	2 2
ვოგროვანთა ნაცარი	კოლოიდური ვოგინ- დი	0,2	0,3	2
+ბუგრები	კარიტანი +კარბოფონი	0,03—0,1	0,03—0,1	2—3
კრაქი	მორასტრანი + კარბო- ფონი	0,03—0,1	0,03—0,1	2—3
პაშიდორის ფოთლის ობი- ფიტოფორი	ბორლის სითხე ცინქი	0,5—1,0	1,0	2
	ცინქი	0,5—1,0	0,5—1,0	20
	ცინქი	0,3—0,5	—	20

შენიშვნა: შეწამელის შემდეგ მოკრეული ნაყოფები გულდასმით უნდა გაიჩერხოს. შეიძლება აკრეთვე მცენარეების გულდასმით გაბანვა სარწყ-
ყავი წყლით მოკრეფის წინ.

ერთ კვემ გრუნტის გასაცხელებლად 0,5 ატმოსფეროს წნევის შემთხვევაში, საათში უნდა დაიხარჯოს 100—110 გრადუსიანი 8—10 კგ ორთქლი. ორთქლის წნევის მომატება ამცირებს დეზინ-


ფექციის დროს, მაგრამ იქნება ფირის გახვევის ან ძალიან მუშავე აწევის საშიშროება, რადგან ჩვეულებრივი წნევით ორთქლის გაშვებიდან 1,5—2,0 საათის შემდეგ ფირი იწევა 60—70 სმ სიმაღლეზე. წნევის მომატება შეიძლება 1,0 ატმოსფერომდე, მაგრამ დამაგრების მიზნით საჭიროა ფირს გადაეფაროს ბადე.

მოსავლის აღვაა

კიტრისა და პამიღორის კრეფა უნდა დაიწყოს მაშინ, როცა ნაყოფები მიაღწევენ სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებულ ზომას და შეფერვას. კრეფის სიხშირე დამოკიდებულია მიკროკლიმატზე, მათ შორის განათებულობაზე. კრეფებს შორის პერიოდი ზამთარში უფრო მეტია, ვიდრე გაზაფხულსა და ზაფხულში. დაგვიანებული კრეფა, ამცირებს მოსავლიანობას. ასევე ნაადრევი კრეფა—განსაკუთრებით კიტრის.

კრეფა უნდა ჩატარდეს ფრთხილად, მცენარის დაზიანების გარეშე. კიტრის ნაყოფი იჭრება ყუნწიანად დანით. პამიღორის ნაყოფები კი უყუნწოდ.

იმ სათბურში, რომელთა სექციის სიგანეა 3,2 მ, მოსავლის ასაღებად და გამოსატანად იყენებენ ვედროს (უმჯობესია პლასტმბისი). ნაყოფი ფრთხილად ჩაიწყობა ტარაში და ტრაქტორის საშუალებით გადაიზიდება დამხარისხებელ განყოფილებაში. 6,4 მ სიგანის სექციებიან სათბურში გამოყენებული უნდა იყოს გრუნტის ზედპირზე არსებული გამთბობი მილები, რომლებზეც იმოძრავებს სპეციალური ურიკა, რომლითაც პროდუქცია გამოიზიდება გზამდე. ურიკა გამოყენებულ იქნება აგრეთვე მუშის შესადგომად, შპალერის ზედა ნაწილში ნაყოფის მოსაკრეფად.



ඩායුත් ප්‍රතිචාර
ජාතික සංගමය සංස්ථා ප්‍රධාන මණ්ඩලය

ඉ අංශ

සංඛ්‍යාතික දේශීලුම් සාම්පූර්ණ නිවේදිත අදාළ
සංඛ්‍යාතික දේශීලුම් තුළ තුළ

No	නිවේදිත නොමැතිය	නිවේදිත අදාළ තුළ තුළ	ප්‍රංශු ප්‍රාග්ධන දායා දායා	සංඛ්‍යාතික නොමැතිය	ප්‍රංශු ප්‍රාග්ධන දායා	මුද්‍රණ වලදායා දායා	උග්‍රාම නැග්‍රාම නොමැතිය

ඉ අංශ අංශ

තුළ තුළ තුළ තුළ තුළ තුළ තුළ තුළ

තුළ	No	තුළ තුළ තුළ	නිවේදිත නොමැතිය						



Տաճարական քաղաքացիության պահպան

Կուրսարժիք


Ժմոնուայր

Խոհեմական Նույնագործություն	Կուրսարժիք Կուրսարժիք Կուրսարժիք	Մատուցված Հաջորդական Հաջորդական Հաջորդական	Բարեկարգություն Հաջորդական Հաջորդական Հաջորդական	Բարեկարգություն Հաջորդական Հաջորդական Հաջորդական	NO _x մգ/100g	Առաջարկած Հաջորդական Հաջորդական Հաջորդական	Կուրսարժիք	Ժմոնուայր	NH ₃ մգ/100g

Ցանկացած

Կազմակերպություն

Համապատակացած աղբաթանօ ¹ Համապատակացած աղբաթանօ ¹ (մլ)	Կազմակերպություն	Պարագաներ	P ₂ O ₅ մգ/100g	Աղբաթանօ ¹ Համապատակացած աղբաթանօ ¹ Համապատակացած աղբաթանօ ¹	Կազմակերպություն	K ₂ O մգ/100g



ජාතික ආචාර්යීක් සේවයක්ද සාමාන්‍ය උපුග්‍රහීක්දාපෙන්

නොටුවේ නොටුවේ	මුද්‍රාක්‍රියා ප්‍රතිචාර සහ සෑවක්‍රියා නොටුවේ නොටුවේ	ආරක්ෂා		ඉංග්‍රීස් අංශය	සැප්පාන් අංශය	ආරක්ෂා නොටුවේ	නොටුවේ	ආරක්ෂා නොටුවේ	100 ග් අංශ නොටුවේ නොටුවේ		ආරක්ෂා නොටුවේ	ආරක්ෂා නොටුවේ		
		නොටුවේ නොටුවේ	නොටුවේ නොටුවේ						N-H ₄	N-NO ₃	P ₂ O ₅	K ₂ O	CaO	MgO
5	ජ්‍යෙෂ්ඨ ප්‍රාග්ධන වලාක්‍රාම නොටුවේ	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
	සෙන්ටෝරු ට, පැරිනා	24/11	25/11	42,1	5,8	34,4	1,8	33,8	35,6	6,2	61,0	1090	18,1	0,9

නොටුවේ නොටුවේ

1. නිශ්චාරු ප්‍රතිචාර නොටුවේ නොටුවේ නොටුවේ නොටුවේ නොටුවේ නොටුවේ.
2. මුද්‍රාක්‍රියා (PH) නොටුවේ නොටුවේ නොටුවේ නොටුවේ නොටුවේ නොටුවේ.
3. මිනින්දා ප්‍රතිචාර නොටුවේ නොටුවේ නොටුවේ නොටුවේ නොටුවේ නොටුවේ (මුද්‍රාක්‍රියා) නොටුවේ (N)-2,5; ප්‍රතිචාර (P₂O₅)-20; ප්‍රතිචාර (K₂O)-10; ප්‍රතිචාර (MgO)-3.
4. නොටුවේ නොටුවේ.

МИНИСТЕРСТВО СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА СССР
Главное управление науки и пропаганды

ТЕХНОЛОГИЯ ВЫРАЩИВАНИЯ ПОМИДОРОВ И
ОГУРЦОВ В ТЕПЛИЦЕ

(временное методуказание)

(На груз. языке)

Тбилиси — 1976 г.

რედაქტორი ი. მაჭავარიანი

შეკ. 610

ტარაზი 2000

გადაცემი წირმოებას 27/IV-76. ხელმოწერილია დასაბუძიდიდ 7/IX-76 წ.
ანაზღაულის ზომა 6X9,5, სისტაბო თაბახა 1,9
საალ.-საგამომც. თაბახი 1,7.

უფასო

შრომის წითელი დროშის ორდენისანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტამბა,
თბილისი—31, დიღომი.

Типография Грузинского ордена Трудового Красного Знамени
сельскохозяйственного института, Тбилиси-31, Диоми.

n 57/5

= 91041
Digitized by srujanika@gmail.com